ჰაილბრონის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის II და III კურსის სტუდენტებისთვის (2013/2014)

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2013/2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ჰაილბრონის უნივერსიტეტში ერთსემესტრიანი სასწავლო სტიპენდიის მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის II და III კურსის სტუდენტებს, ვინც გადალახა 2012 წ. დეკემბერში ჩატარებული გერმანულენოვანი გაცვლითი პროგრამების შესარჩევი კონკურსის I ეტაპი (ტესტირება), ან ინგლისურენოვანი გაცვლითი პროგრამების შესარჩევი კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) და ინგლისურთან ერთად დამატებითად ფლობს გერმანულ ენას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან ქართულ ენაზე
- ინფორმაცია მიმღებ უნივერსიტეტში შესაბამისი საგნების არსებობის შესახებ, რომლებიც მათ უნდა გაიარონ 2013/2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში (http://www.hs-heilbronn.de/w2/intl_programme_ug)

შესარჩევი კონკურსი (ზეპირი გასაუბრება) ჩატარდება:

2013 წ. 12 მარტს, 10 საათზე

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ II კორპუსი, II სართული, ოთახი 204)

კონკურსზე დარეგისტრირების ბოლო ვადაა: 2013 წლის 11 მარტი, 12 საათი

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და კონკურსზე დარეგისტრირებლად მიმართეთ ირინა გამყრელიძეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204).

შენიშვნა:	**გაცვლითი პროგრამა არ ანაზღაურებს საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის ხარჯებს.**

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212